



მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს  
საქმეთა მმართველობის გამომცემა

1930 წ. ოქტომბრის 30.

№ 18

ნაწილი პირველი

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

**ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა  
საბჭოს დადგენილება.**

279. მოსახლეობის თვითდაბეგვრის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.  
დებულება მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ.

## სენატორული აღმასრულებელი კომისიების და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

279. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

მოსახლეობის თვითდაბეგვრის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ამა 1930 წლის ოქტომბრის 1-დან დებულება მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ ახალი რედაქციით.

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მარტის 20-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ (კან. კრ. 1929 წ. № 9, მუხ. 71 და № 22, მუხ. 251; 1930 წ. № 2, მუხ. 18) გაუქმებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მანარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ.

1. სოფლის მოსახლეობის ისეთ ადგილობრივ კულტურულ და სამეურნეო საქმიანობათა დასაქმაყოფილებლად, რასაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს და რაც აღნიშნულია ამა დებულების მე-2 მუხლში, შეიძლება მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) დადგენილებით შემოღებულ იქნეს ამ სოფლის ყველა მცხოვრებლისათვის სავალდებულო თვითდაბეგვრა შემდეგ მუხლებში გათვალისწინებული წესითა და საფუძვლით.

**შენიშვნა 1.** ამა დადგენილების მოქმედება ვრცელდება სოფლის მოსახლეობაზე და აგრეთვე ქალაქის და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების მოსახლეობაზე, ქალაქ ტფილისისა, ქუთაისისა, ფოთისა, ჭიათურისა, ბორჯომისა, ახალციხისა, სიღნაღისა, თელავისა, სოხუმისა, გუდაუთისა, ოჩამჩირისა და ბათუმის გამოკლებით.

**შენიშვნა 2.** მოსახლეობის თვითდაბეგვრა არ შეიძლება შემოღებულ იქნეს საქარხნო საფაბრიკო დასახლებულ ადგილას.

2. თვითდაბეგვრა შეიძლება მხოლოდ ქვემოაღნიშნულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმიანობათა დასაქმაყოფილებლად, როგორც არის:

ა) კულტურულ-განმანათლებელ, ჯანმრთელობის დაცვისა, სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა და აგრეთვე ისეთ დაწესებულებათა მოწყობა და შენახვა (აშენება, გათბობა, განათება და სხვა), რომელთაც მიზნად აქვთ სოფლის მეურნეობის გაძლიერება-განვითარება (სკოლა, ბიბლიოთეკა, ქობ-სამკითხველო, კლუბი, წითელი კუთხე, სახალხო სახლი, საბავშვო ბაგა, საბავშვო სახლი და ბაღი, საავადმყოფო, სამკურნალო, სავერშლო, საბეითლო და აგრონომიული პუნქტები, პურის სამარაგო მაღაზია, საინვალიდო სახლი, მოხუცებულთა თავშესაფარი სახლი, ღამის სათვეი სახლი და სხვ.);

ბ) სასოფლო სამეურნეო მანქანებისა და ინვენტარის შეძენა და რემონტი საერთო სარგებლობისათვის;

გ) გზათა მშენებლობა (გაყვანა-გაკეთება, რემონტი და შენახვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის შარა-გზებისა და სამინდერე გზებისა, ხიდებისა, გადასავალი და გადასაზიდი ადგილებისა და სხვ.);

დ) ხანძრისაგან დაცვა (სახანძრო დეპოებისა და სარაიების აგება, მოწყობა, სპეციალური მომარაგება, შენახვა, მომსახურება და სხვ.);

ე) სოფლის კეთილმოწყობა (ქებისა, არხებისა, ქიანოზებისა, საზოგადოებრივი ხელოვნური ტბებისა და სხვ. წყლის საცაგების მოწყობა და წესიერად შენახვა, წესიერად შენახვა აგრეთვე სასაფლაოებისა, საქონლის ღეშის ჩასაფლავ ადგილებისა, მიედნებისა, ქსჩებისა, გასასვლელი ადგილებისა და სხვ.) და

ვ) სოფლის დაცვა.

**შენიშვნა 1.** თვითდაბეგვრის საფუძველზე საჯარო მშენებლობის საქმიანობათა დაქმაყოფილება (მე-2 მუხ. პუნ. „გ“) არ ანთავისუფლებს მოსახლეობას გზათა მშენებლობის მოვალეობისაგან, რაც გათვალისწინებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის ივლისის 3-ის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში „შრომითი საგზაო ბეგარის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. 13 №-ი, მუხ. 148).

**შენიშვნა 2.** აკრძალულია მოსახლეობის თვითდაბეგვრა საადმინისტრაციო ხარჯების დასაფარავად, როგორც არის: ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მომუშავეთა ხელფასი, ამ ორგანოების სადგომების შენახვა და მოწყობა, მათი სხვა ხარჯები, ადგილობრივი კულტურული და სამეურნეო დაწესებულებების მომუშავეთა ხელფასი და სხვ.

3. თვითდაბეგვრაში მონაწილეობას მიიღებენ:

ა) ინდივიდუალური საკლესო მეურნეობა, იმ, მიწის საერთო ძალით დამუშავებელი, ამხანაგობის წევრი-მეურნეობა, სადაც მუშა-საქონელი და ინვენტარი განსაზოგადოებელი არ არის, და სხვა მარტივი სასოფლო-სამეურნეო შენაერთის წევრი-მეურნეობა;

ბ) მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს უწყებულ სოფელში, თუნდაც სოფლის მეურნეობას არ მისდევდეს.

**შენიშვნა.** თვითდაბეგვრაში მონაწილეობას არ იღებს სასოფლო-სამეურნეო კომუნისა და არტელის წევრი მეურნეობა და აგრეთვე იმ, მიწის საერთო ძალით დამუშავებელი, ამხანაგობის წევრი-მეურნეობა, სადაც მუშა-საქონელი და ინვენტარი განსაზოგადოებულია.

4. მოსახლეობის თვითდაბეგვრა შეიძლება:

ა) ფულის გადახდით,

ბ) საგნებისა და მასალის ნატურად მიცემით და

გ) მუშაობაში შრომით მონაწილეობის მიღებით.

5. თვითდაბეგვრა შეიძლება მხოლოდ უწყებული დასახლებული პუნქტის იმ მოქალაქეთა საერთო კრების დადგენილებით, რომელნიც თვითდაბეგვრაში მონაწილეობას იღებენ, და რომელთაც აქეთ საბჭოთა არჩევის უფლება.

თვითდაბეგვრის შემოღების საკითხს შეიტანს განსახილველად მოქალაქეთა საერთო კრებაში (ყრილობაში) სათანადო სასოფლო საბჭო როგორც თავისი ინიციატივით, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, კოლექტიური მეურნეობის გამგეობისა, მოქალაქეთა ჯგუფისა და ცალკეულ მოქალაქეთა განცხადებით.

საკითხი რამდენიმე დასახლებული პუნქტის საპირობათა დასაკმაყოფილებლად თვითდაბეგვრის შემოღების შესახებ, მიუხედავად იმისა, აერთიანებს თუ არა ამ პუნქტებს ერთი სასოფლო საბჭო, გადაწყდება თვითიერი დასახლებული პუნქტის მოქალაქეთა საერთო კრებაზე.

**შენიშვნა 1.** საერთო კრებაში თვითდაბეგვრის საკითხის შეტანამდე სასოფლო საბჭო, ღარიბებისა, მოჯამაგირეებისა და სოფლის აქტივის მონაწილეობით, განსაზღვრავს იმ ღონისძიებებს, რაც განხორციელებულ უნდა იქნეს თვითდაბეგვრის ხარჯით, და შეადგენს ამ ღონისძიებათათვის საჭირო წინასწარ ხარჯთაღრიცხვას. რამდენიმე სოფლის მომსახურებისათვის საჭირო ღონისძიებებს, უკეთუ ამ სოფლებს ერთი სასოფლო საბჭო არ აერთიანებს, განსაზღვრავს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი.

**შენიშვნა 2.** ქალაქსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას, რომელზედაც, 1-ლი მუხლის 1-ლი შენიშვნის თანახმად, მოსახლეობის თვითდაბეგვრის დებულების მოქმედება ვრცელდება, თვითდაბეგვრის შემოღების საკითხი გადაწყდება ამომრჩეველთა საერთო კრებაზე, რაც გათვალისწინებულია მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების დებულებით (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. № 3, მუხ. 18). ამ საერთო კრებაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის ამომრჩეველნი, რომელნიც ჩაბმულ უნდა იქნენ თვითდაბეგვრაში.

დიდ სოფლებში თვითდაბეგვრის საკითხი შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს ცალკეული უბნების, კვარტალების და სხვ. მოქალაქეთა კრებაზე.

6. თვითდაბეგვრის საკითხის გადასაწყვეტად მოქალაქეთა საერთო კრებას უნდა დაესწროს უწყებელი დასახლებული პუნქტის იმ მოქალაქეთა საერთო რიცხვის ნახევარი მაინც, რომელნიც თვითდაბეგვრაში მონაწილეობას იღებენ და რომელთაც აქვთ საბჭოთა არჩევის უფლება.

უკეთეს კრებაზე მოქალაქეთა აღნიშნული რიცხვი არ გამოცხადდა, მოიწვევა მეორე საერთო კრება, რომელიც შემდგარად ჩაითვლება, თუ მას ზემოხსენებულ მოქალაქეთა ერთი მესამედი მაინც დაესწრო.

თვითდაბეგვრის საკითხი გადასწყდება დამსწრე მოქალაქეთა ხმის მარტივი უმეტესობით.

7. მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) დადგენილებაში თვითდაბეგვრის შესახებ უნდა აღინიშნოს:

- ა) თვითდაბეგვრის მიზანი;
- ბ) თვითდაბეგვრის ფორმა;
- გ) თვითდაბეგვრის საერთო რაოდენობა (ფულადი ანგარიშით);
- დ) თვითდაბეგვრისაგან განთავისუფლებული მეურნეობანი.

8. თვითდაბეგვრის რაოდენობა უწყებელი დასახლებული პუნქტისათვის საერთოდ წლის განმავლობაში არ შეიძლება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის იმ საერთო თანხის 50%-ზე მეტი იყოს, რაც წლის განმავლობაში სათანადო ადგილის ინდივიდუალურ მეურნეობებზე ირიცხება, იმ თანხასთან ერთად, რაც შეეწერებოდათ საშემოსავლო გადასახადის გადამხდელ და ამ გადასახადისაგან, დაუბეგრავე მინიმუმის მიხედვით, განთავისუფლებულ მოქალაქეთ, რომ ეს მოქალაქენი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ყოფილიყვნენ დაბეგრილი.

უკეთეს გათვალისწინებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად თვითდაბეგვრის აღნიშნული რაოდენობა სავმარისი არ იქნება, მოქალაქეთა საერთო კრებას შეუძლიან დააწესოს თვითდაბეგვრა გადასახადის ზემოხსენებული თანხის 100%-მდე. თვითდაბეგვრის ასეთი გადიდება, ვიდრე იგი განხორციელდებოდეს, უნდა დაამტკიცოს სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტმა.

9. მოქალაქეთა საერთო კრებას შეუძლიან განთავისუფლოს თვითდაბეგვრისაგან:

ა) ინდივიდუალური მეურნეობა, რომელიც სრულიად განთავისუფლებულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან;

ბ) იმ სამხედრო მსახურის მეურნეობა, რომელიც მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებშია;

გ) შრომისა და ომის ინვალიდი, თუნდაც იგი სავსებით არ იყოს განთავისუფლებული სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან;

დ) მუშა-მოსამსახურე, რომელიც დამოუკიდებლად სოფლის მეურნეობას არ მისდევს.

ამა დებულების 1-ლი მუხლის 1-ლ შენიშვნაში გათვალისწინებულ ადგილებში თვითდაბეგვრისაგან განთავისუფლდება:

ა) ის პირი, რომელიც ნამდვილ სამხედრო სამსახურშია მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და წითელი ფლოტის მუდმივ თუ ცვალებად ნაწილში;

ბ) სახელმწიფო, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და კერძო საწარმოს მუშა;

გ) ის პირი, რომელიც მუდმივ სამსახურშია სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებასა და საწარმოში;

დ) შრომისა და ომის ინვალიდი;

ე) შრომის გმირი;

ვ) სახელმწიფო პენსიონერი.

**შენიშვნა.** ის პირი, რომელიც სახელმწიფო სამსახურშია და დამოუკიდებლად სოფლის მეურნეობას არ მისდევს, განთავისუფლდება თვითდაბეგვრისაგან იმ შემთხვევაში, უკეთეს თვითდაბეგვრით განსახორციელებელ ღონისძიებას მისთვის უშუალო სარგებლობა არ მოაქვს.

10. სასოფლო საბჭო არა უგვიანეს სამის დღისა მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) მიერ, ამა დებულების მე-5 და მე-6 მუხ. წესისამებრ, თვითდაბეგვრის შესახებ დადგენილების გამოტანის დღიდან, გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების წარმომადგენლისა და კრების (ყრილობის) მიერ არჩეული პირის მონაწილეობით, გაანაწილებს თვითდაბეგვრის საერთო თანხას სოფლის ცალკე მეურნეობათა და მოქალაქეთა შორის იმ პაების რაოდენობის პროპორციულად, რაც თვითეული ვალდებული მეურნეობისა ან მოქალაქისათვის გამოიანგარიშებული იქნება ამა დებულების მე-11—13 მუხ. გათვალისწინებული წესების თანახმად.

11. თვითდაბეგვრის პაი გამოიანგარიშება უწყებულ წელს თვითეული მეურნეობისათვის შეწყვილი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხის პროპორციულად, ყოველგვარი მონაკლებისა და შეღავათის გამორიცხვით; თანაც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თვითეული მანეთი მიეთანაბრება თვითდაბეგვრის თვითეულ პაის.

12. იმ პირთათვის, რომელნიც სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადით იბეგრებიან, აგრეთვე იმ პირთათვის, რომელნიც არც ამ გადასახადით და არც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრებიან, თვითდაბეგვრის პაი განისაზღვრება ზემოაღნიშნული წესისამებრ (მუხ. 11); თანხები გამოიანგარიშება შემდეგნაირად:

ა) იმ პირთათვის, რომელნიც საშემოსავლო გადასახადით მე-2, 2.ა და 3 №-ის განაწერის თანახმად იბეგრებიან, თვითდაბეგვრის პაი განისაზღვრება

პროპორციულად ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის იმ თანხისა, რაც მათ უნდა გაეღოთ საფინანსო ორგანოების მიერ საშემოსავლო გადასახადით დაბეგვისათვის გამოანგარიშებული შემოსავლის მიხედვით; ამასთანავე შეფარდებულ უნდა იქნეს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვის წესები;

ბ) იმ პირთათვის, რომელნიც საშემოსავლო გადასახადით 1-ლი და 1-ა №-ის განაწილის თანახმად იბეგვებიან, თვითდაბეგვის პაი განისაზღვრება პროპორციულად ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის იმ თანხისა, რაც მათ უნდა გაეღოთ საფინანსო ორგანოების მიერ გამოანგარიშებული შემოსავლის მიხედვით—ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 13 №-ი, მუხ. 144) 22 მუხლში გათვალისწინებული წესისამებრ;

გ) იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ სავაჭრო ან საპრეწველო საწარმო, აგრეთვე იმ პირთათვის, რომელნიც პირად ოქმობას ეწევიან, ხოლო სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადს კი არ იხდიან, თვითდაბეგვის პაი განისაზღვრება პროპორციულად ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხისა, რაც მათ უნდა გაეღოთ იმ შემოსავლის მიხედვით, რომელიც გამოკვეთულ იქნება სასოფლო-საბჭოს მიერ თვითდაბეგვის საერთო თანხის განაწილებასთან ერთად და ამა დებულების მე-10 მუხ. წესისამებრ;

დ) ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლებულ მეურნეობათა და მოქალაქეთათვის თვითდაბეგვის პაი განისაზღვრება ერთიანი სამამდე სასოფლო-საბჭოს მიერ თვითდაბეგვრის საერთო თანხის განაწილებასთან ერთად და ამა დებულების მე-10 მუხ. წესისამებრ.

**შენიშვნა 1.** გადიდება ცალკეულ მეურნეობათათვის თვითდაბეგვის რაოდენობისა, რაც გამოანგარიშებულია ამა მუხლით დადგენილი წესისამებრ, აკრძალულია.

**შენიშვნა 2.** ამა დებულების მე-9 მუხლში ჩამოთვლილი მეურნეობანი და პირნი, უკეთეს ისინი თვითდაბეგვრაში ჩაბმულ იქნებიან, მონაწილეობას მიიღებენ ამ თვითდაბეგვრაში იმ საფუძველზე, რაც აღნიშნულია ამა მუხლის „დ“ პუნქტში.

13. თვითდაბეგვის პაის რაოდენობა (ფულად) გამოანგარიშება მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) მიერ დადგენილი თვითდაბეგვის თანხის ამა დებულების მე-11 და მე-12 მუხ. წესისამებრ განსაზღვრული პაიების საერთო რიცხვზე გაყოფით.

14. საერთო კრების დადგენილებას თვითდაბეგვის შესახებ სასოფლო-საბჭო, თავისი დასკვნით და თვითდაბეგვის განაწილებით ცალკეულ გადამხდელთა შორის, წარუდგენს განსახილველად სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს.

უკეთეს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი ათი დღის ვადაზე არ აცნობებს სასოფლო-საბჭოს თვითდაბეგვის დადგენილებისა და განაწილების გაუქმებას, ეს დადგენილება და განაწილება ძალაში შევა და სავალდებულო იქნება უწყებელი დასახლებული პუნქტის ყველა მოქალაქისათვის.

15. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი გააუქმებს საერთო კრების დადგენილებას თვითდაბეგვის შესახებ და თვითდაბეგვის განაწილებას გადამხდელთა შორის იმ შემთხვევაში, უკეთეს ეს დადგენილება და განაწილება არღვევს ამა დებულებას და მის განსავითარებლად გამოცემულ დადგენილებებსა და ინსტრუქციებს.

16. სასოფლო-საბჭოს დაეკისრება შემდეგი მოვალეობანი მოსახლეობის თვითდაბეგვისათვის:

ა) დააწესოს ვადები თვითდაბეგვრის გადასახადის შეტანისათვის (ფულად და ნატურით), აგრეთვე დააწესოს, საერთო კრების (ყრილობის) დადგენილებასთან შეფარდებით, ვადები მოქალაქეთა გამოცხადებისა თვითდაბეგვრის წესით შესასრულებელ სამუშაოში მონაწილეობის მისაღებად;

**შენიშვნა.** თვითდაბეგვრის ფულადი გადასახადი გადახდევინებულ უნდა იქნეს ორ ვადაზე თანაბარ ნაწილებად; პირველი ნაწილი შეტანილ უნდა იქნეს არა უადრეს 7 დღისა და არა უგვიანეს ერთი თვისა დღიდან საერთო კრების (ყრილობის) მიერ სათანადო დადგენილების გამოტანისა, ხოლო მეორე ნაწილი—ერთი თვას შემდეგ პირველი ნაწილის შეტანის დღიდან.

ბ) შეტკრიფოს, შეინახოს და აღნუსხოს თვითდაბეგვრის წესით შესული სახსარი, საგანი და მისალა;

გ) იციდოს მისალა, ინვენტარი და სხვა და დასდოს, მომქმედი კანონების მიხედვით; ხელშეკრულება და გარიგება, რაც საჭიროა თვითდაბეგვრის წესით გასახარციელებელ ღონისძიებათათვის;

დ) ხელმძღვანელობა გაუწიოს იმ მუშაობას, რომელშიაც მოსახლეობა შრომით იღებს მონაწილეობას; გაანიწილოს ცალკე მოქალაქეთა და მეურნეობათა შორის სამუშაო და მოვალეობანი; დანიშნოს მუშაობის ხელმძღვანელები; აღნუსხოს შესრულებული სამუშაო და მუშაობა ვალდებულ პირთა გამოცხადება;

ე) განავარს თვითდაბეგვრის წესით შეძენილი ან შექმნილი ქონება და კაპიტალები;

ვ) შეუცვალოს ცალკე მეურნეობათა და მცხოვრებთ საერთო კრების (ყრილობის) მიერ დაწესებული ფორმა თვითდაბეგვრისა სხვა ისეთი ფორმით, რაც აღნიშნულია ამა დებულების მე 4 მუხლში, და ამასთანავე მხედველობაში მიიღოს სოფლის მოსახლეობის უმთავრესად ნაკლებძალოვანი ფენების ინტერესები;

ზ) შეადგინოს, სასოფლო ბიუჯეტთან ერთად, ადგილობრივ საჭიროებათა თვითდაბეგვრის წესით დაკმაყოფილების წლიური გეგმა და შეიქმნას წინასწარი ხარჯთაღრიცხვა აღნიშნულ ღონისძიებათათვის;

თ) წარუდგინოს პერიოდულად საერთო კრებას (ყრილობას) და საჩაიონო აღმასრულებელ კომიტეტს თვითდაბეგვრის წესით შეკრეფილი სახსარის ხარჯვისა და მოსახლეობის შრომით შესრულებულ სამუშაოთა ანგარიში.

**შენიშვნა.** უკეთეს თვითდაბეგვრის წესით დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს რამდენიმე სოფლის საჭიროებანი, ამა მუხლში აღნიშნულ მოვალეობათ განახორციელებენ სათანადო სასოფლო საბჭოები ურთიერთთან შეთანხმებით.

17. თვითდაბეგვრით გათვალისწინებულ მოვალეობათა (ფულად და ნატურად შესატანი. შრომით მონაწილეობა) შესრულებისათვის ამა დებულების მე-16 მუხ. „ა“ პუნქტით დაწესებული ვადების გასვლის შემდეგ ნაწილობრივ ან მთლად შეუსრულებელი ვალდებულებანი გადაირიცხება ნარჩინად, ნატურად შესატანისა და შრომით მონაწილეობის ფულზე გამომანგარიშებით; ეს ნარჩინი გადახდევინებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული წესით გადასახადთა გადახდევინების დებულების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1925 წ. 70 №-რი, მუხ. 518).

18. თვითდაბეგვრით შეკრეფილი სახსარი უნდა მოხმარდეს მარტოოდენ იმ მიზნებს, რაც აღნიშნულია მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) სათანადო დადგენილებაში. ამ წესის დარღვევისათვის დამნაშავე თანამდებობის პირი პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლისამებრ.

უკეთეს თვითდაბეგვრის წესით შეკრეფილი სახსარი, რაიმე მიზეზით, შეუძლებელია მოხმარდეს საერთო კრების (ყრილობის) დადგენილებაში აღნიშნულ მიზნებს, ამ საერთო კრებამ უნდა გამოიტანოს, ამა დებულებაში გათვალისწინებული წესების დაცვით, ახალი დადგენილება—შეკრეფილი სახსარი სხვა, ამა

დებულების მე-2 მუხლში გათვალისწინებულ საჭიროებათა და ღონისძიებათათვის მოხმარების შესახებ.

თვითდაბეგვრის სახსარი, რაც უწყებულ წელს გამოყენებული არ იყო, შეიტანება შემდეგი წლის ბიუჯეტში და დაიხარჯება მხოლოდ საერთო კრების დადგენილებაში აღნიშნული საჭიროებისათვის.

19. თვითდაბეგვრის წესით შეკრფილი სახსარი ჩაირიცხება სასოფლო (საქალაქო) საბჭოს ბიუჯეტში, ხოლო იქ, სადაც სასოფლო (საქალაქო) ბიუჯეტი შექმნილი არ არის, — რაიონის ბიუჯეტში. ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში სისწორით აღინიშნება ის მიზანი, რასაც ეს სახსარი, საერთო კრების დადგენილების თანახმად, უნდა მოხმარდეს.

თვითდაბეგვრის სახსარს, როგორც საერთო წესი, დახარჯავს სასოფლო (საქალაქო) საბჭო. სახსარს, რაც დანიშნულია იმისათვის, რომ დაკმაყოფილებულ იქნეს საჭიროებანი რამდენიმე სოფლისა, რომელნიც გაერთიანებულ არ არიან ერთ სასოფლო საბჭოში, ავრთვე იმ ადგილას შეკრფილი სახსარს, სადაც სასოფლო ბიუჯეტი შექმნილი არ არის, დახარჯავს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი.

20. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრება:

ა) თვალყური ადევნოს, რათა თვითდაბეგვრის წესით გათვალისწინებული ღონისძიებანი სათანადოდ იქნეს განხორციელებული;

ბ) მიაწოდოს თვითდაბეგვრის საშუალებით წარმოებულ მშენებლობას დეფიციტური საშენი მასალა ამ საგანზე არსებული წესისამებრ;

გ) ტექნიკური დახმარება გაუწიოს თვითდაბეგვრის საშუალებით წარმოებულ მშენებლობას.

თვითდაბეგვრის სახსარის სათანადო და თავის დროზე დახარჯვისათვის კონტროლს გაწევა დაეკისრებათ სასოფლო და სარაიონო სარევიო კომისიებს.

21. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაეკისრება:

ა) აწარმოოს თვითდაბეგვრის რაოდენობის საერთო აღწესება ა/კფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი ფორმების მიხედვით;

ბ) თვალყური ადევნოს, რათა თვითდაბეგვრის დროს ზედმიწევნით დატულ იქნეს ამა დებულების მე-2 და მე-8 მუხლებში აღნიშნული წესები;

გ) შეიმუშაოს ადგილობრივი ფასების მიხედვით თვითდაბეგვრაში შრომით მონაწილეობისა და ნატურად შეტანის ფორმების ფულად გადატანის შკალა და დაამტკიცოს იგი;

დ) გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

**შენიშვნა.** საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში და ავტონომიურ ოლქში „ა“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნულ მოვალეობათ განახორციელებენ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულნი ფინანსთა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობით.

22. დებულება ესე არა ვრცელდება ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ თავის წევრებს შორის გამოსაღების შეკრფაზე, უკეთუ მას უფლება აქვს, თავისი წესდების ან დებულების თანახმად, დაბეგროს თავისი წევრები ამა თუ იმ საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ასეთი გამოსაღების შეკრფა და სახსარის ხარჯვა სწარმოებს სათანადო წესებით თუ დებულებით გათვალისწინებული წესისამებრ.

გამოქვეყნებულია ვაზ. „კომუნისტის“ 249 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 24.